# ქუთაისის რეგბისტთა გუნდი „მშენებელი“— სსრ კავშირის თასის მფლობელი



ქუთაისის რეგბისტთა გუნდი „მშენებელი“.

ვინც არ უნდა იყოს მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდის მეტოქე რეგბისტთა საკავშირო თასის გათამაშების გადამწყვეტ მატჩში, თამაშის წინ სპეციალისტთა და პროგნოზის მოყვარულთა უმეტესობა უპირატესობას აუცილებლად მონინოელებს მიანიჭებს. გვერწმუნეთ, მათი მეტოქეებისთვის ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზი იქნება შეფარდება 60—40-ზე, რა თქმა უნდა, სამხედრო მფრინავების გუნდის სასარგებლოდ. დიახ, ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ნებისმიერი მატჩისა და ტურნირის უცვლელი ფავორიტია. რეგბისტთა თასზე ტყუილად როდია ყველაზე მეტჯერ ამოტვიფრული: „ი. გაგარინის სახელობის მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი“. თასზე „სლავასა“ და „ავიატორის“ სახელებსაც ამოიკითხავთ, ისინიც არაერთხელ ფლობდნენ მას, მათაც ბევრჯერ გაუხარებიათ თავიანთი გულშემატკივრები. ჩვენი რესპუბლიკის რეგბის მოყვარულებმა კი მხოლოდ ერთხელ, ისიც ათიოდე წლის წინათ იზეიმეს საქართველოს



გუნდის თასის გათამაშებაში გამარჯვება. და აი, დღეს-ხვალ ამ „ობოლ“ წარწერას — თბილისის „ლოკომოტივი“ 1978“ — კიდევ ერთი „ქართული ავტოგრაფი“ მიემატება. დიახ, 13 აგვისტოს, ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე, ადგილობრივმა „მშენებელმა“ თასის XIII გათამაშების ფინალური ტურნირის გადამწყვეტ მატჩში, რომელიც ყველაზე ხატოვან ეპითეტს იმსახურებდა, ანგარიშით 12:3 დაამარცხა ჩვენი ქვეყნის სახელოვანი კოლექტივი, მონინოს სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი და თასი დაისაკუთრა. დაწვრილებით ამ მატჩზე „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 აგვისტო, შაბათი, 1987 წ.
№ 158 (9569) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# დიდი ასპარეზობის მოლოდინში

უნატიფესი ხელოვნება, გრაცია და ჰარმონია, ადამიანის შესაძლებლობების ზღვრამდე მისული ურთულესი ილეთები — აი, რით გვიზიდავს მხატვრული ტანვარჯიში.
ჩვენი ქვეყნის 33 უძლიერესი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას სსრ კავშირის თასის გათამაშებაში და ჩემპიონატში, რომელიც ტანვარჯიშის ცალკეულ სახეობებში ჩატარდება. ამ შეჯიბრებას 20-23 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს. სარბიელზე ვიხილავთ სახელგანთქმულ სპორტსმენებს ტატიანა დრუჩინინას, მარინა ლობოჩს, მარინა ნიკოლაევას, თბილისელებს: ირმა ყიფშიძეს, თინა ნადირაშვილს, ნატო ლეშკაშელს.

ასპარეზობას თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს



# „ყოველდღე თბილისს ვესაუბრებოდით“

ოთხშაბათს, საღამოს, იუგოსლავიიდან დაბრუნდნენ ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალები — ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია, რომლებმაც დიდი წარმატება მოიპოვეს ახლახან ტუზლაში გამართულ ქალთა საზონათშორისო ტურნირში: როგორც გახსოვთ ნანამ I ადგილი დაიკავა, ქეთევანმა — II. გამარჯვებულებს აეროპორტში შეხვდა ჩვენი კორესპონდენტი. გთავაზობთ ამ სახელდახელო ინტერვიუს.

**ნანა იოსელიანი:** შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შემოქმედებითი თვალსაზრისით რა მოგახსენოთ — 8 ყაიმი მართლაც მეტისმეტია, მაგრამ გულს ის მიკეთებს, რომ ტურნირი დაუმარცხებლად გავვლე. მახარებს ჩემი ახალგაზრდა კოლეგის ქეთინო არახამიას წარმატება. ქეთინოს დიდი მომავალი აქვს. და ბოლოს, ულრმესი მადლობა ყველას, ვინც გვქომაგობდა. თუ დამიჯერებთ, ყოველდღე თბილისს ვესაუბრებოდით, ხან ვინ ურეკავდა, ხან ვინ...

**ქეთევან არახამია:** უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, არც კი ვიცი, რა გითხრათ. ალბათ იცით, როგორ გავედი II ადგილზე, გამიმართლა...

**რეპლიკა** — ნათქვამია, მხოლოდ ძლიერებს უმართლებსო.

— რა ვიცი, შეიძლება...

გუშინ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელები შეხვდნენ ნანა იოსელიანსა და ქეთევან არახამიას. შეხვედრაზე ჩვენს მოჭადრაკე ქალებს მიულოცეს წარმატება. სპორტსმენებმა თავის მხრივ ილაპარაკეს მომავალ გეგმებზე, თქვეს, რომ ძალღონეს არ დაზოგავენ, რათა ღირსეულად დაიცვან და განამტკიცონ ქალთა ქართული საჭადრაკო სკოლის ტრადიციები.

სურათზე: ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია.



# ტალინის ჭირვეულ კორტებზე

## ლეილა მესხი ნახევარფინალში გავიდა

ამინდი ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს აშკარად არ წყალობს. მიუხედავად ამისა, ტალინის საჩოგბურთო სტადიონის ტრიბუნებზე მუდამ ხალხმრავლობაა. მაყურებელი ელის სიურპრიზებს და განსაკუთრებით კმაყოფილია მაშინ, როცა ამ მხრივ აქტიურობას ადგილობრივი ჩოგბურთელები იჩენენ.

სიურპრიზები კი ამ ჩემპიონატში არც ისე იშვიათად ხდება. პირველი ასეთი შედეგი დაფიქსირდა 19 წლის მოსკოველის ე. მონაკოვასა და 1985 წლის ჩემპიონის ს. პარხომენკოს ორთაბრძოლაში. უიმბლდონის ტურნირის ნახევარ-

იხ. მე-4 გვ.

# № 707 ანგარიშზე

ამიერიდან სახელმწიფო ბანკის № 707 ანგარიშზე ყველა მოქალაქეს შეუძლია გადარიცხოს თანხა ობოლი ბავშვების დახმარების საერთო-სახალხო ფონდში. თანხა მოხმარდება უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების კეთილდღეობას, მათი ცალიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სწავლა-აღზრდის, დასვენების ორგანიზაციას, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და ა. შ.



# „დინამო“ — „დინამოს“ წინააღმდეგ

ბოლო დროს „დინამოს“ კალათბურთელთა ცენტრალური საბჭოს პირველობაში არც ისე ბევრი გუნდი თამაშობს, მაგრამ მოსკოვისა და თბილისის თანაკლუბელთა შეხვედრა მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. ეს ტურნირიც, ფაქტიურად, ამ ორ კოლექტივს შორის ურთიერთობას არკვევს და ხშირად საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლით აღინიშნება.

იხ. მე-4 გვ.

## ინფორმაცია

**ვიარეჯო.** იტალიის ამ ქალაქში ჩატარდა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თავი გამოიჩინა ადგილობრივმა სპორტსმენმა ალესანდრო ანდრეიმ. მან ბირთვის მკვრელთა შეჯიბრებაში 22 მ და 91 სმ აჩვენა და უდო ბაიერის (გდრ) მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

**ინდიანაპოლისი.** პანამერიკული თამაშების მძლეოსანთა ტურნირში კუბელმა სპორტსმენებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. მათ შორის აღსანიშნავია ლუის დელისის წარმატება ბადროს ტყორცნაში — 67 მ 14 სმ, ჰავიერ სოტომაიორის შედეგი სიმაღლეზე ხტომაში — 232 სმ. ჯული ბრაუნ-კინგმა (აშშ) 400 მეტრზე თარჯრბენში 54,23 აჩვენა.

**ნაირობი.** აფრიკის თამაშების მძლეოსანთა ტურნირში ბრწყინვალედ გამოვიდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი მერი ონიალი (ნიგერია), 200 მეტრი მან 22,66-ში გაირბინა. ვაჟთა შორის ამ სახეობაში უძლიერესი საიმონ კიპკემბოი (კენია) იყო — 20,90. სიგრძეზე ხტომაში ოქროსა და ვერცხლის მედლები კენიელებმა მოიპოვეს. პოლ ემორდი 823 სანტიმეტრზე გადახტა, იოსებ ელიმ კი 818 სმ აჩვენა.

## ელვა-ინფორმაცია

**ბერნაბიუში** (კანადა) დამთავრდა კლასიკურ ჭიდაობაში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. ათიდან რვა წონით კატეგორიაში უძლიერესები საბჭოთა ათლეტები იყვნენ. გამარჯვებულთა შორისაა ჩვენი თანამემამულე თენგიზ თედორაძე.

## სპორტი და გამოჩენილი ადამიანები



ელვისებური სისწრაფით გავრცელდა ხმა, ხობში სსრ კავშირის ორგზის გმირი, კოსმონავტი ვიქტორ სავინიხი ჩამოდისო. ყველას, დიდსა და პატარას მისი სახელი ეკერა პირზე. ხობელები მოუთმენლად ელოდნენ სტუმრის ჩამოსვლას, ზარ-ზეიმით აპირებდნენ დახვედრას, მაგრამ კოსმონავტი შუაღამისას ჩამოვიდა და პირდაპირ ხობის საცურაო აუზ „იმედში" მოვიდა. იქაურობა უმალ გააჩაჩხეს, რომ სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მთავარ მსაჯს, საკავშირო კატეგორიის არბიტრს აუზი დაეფვალიერებინა.

ყოველ დილით, შეჯიბრების შემდეგ, როგორც წესი, აუზში ჩადიოდა საცურაოდ. ჩვენც იქ დავუდარაჯდით. ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა.

# კოსმონავტის მიწიერი გატაცება

⊙ კარგად ცურავთ, აშკარაა, კროლით.

— დიახ, ერთ დროს ცურვაში ვვარჯიშობდი, მაგრამ დიდ წარმატებებს ვერ მივაღწიე. ეგ იყო, რომ მოსკოვის ჩემპიონატზე გავიმარჯვე და პირველთანრიგოსანი გავხდი. ცურვაში ხუთჭიდიდან მოვედი.

⊙ ხუთჭიდიდან? ასეთი რამ არ გამიგონია. ცურვიდან კი მიდიან ხუთჭიდში, მაგრამ...

— ჰო, მე პირიქით დამემართა. ისე, თავიდანვე ცურვაში რომ მევარჯიშა, იქნებ უკეთესად წამსვლოდა საქმე.

⊙ სამაგიეროდ, კოსმოსში განავითარეთ საოცარი სისწრაფე.

— ო, ნუ დამამშვიდებთ. ერთია, როცა ძრავა გეხმარება და მეორე, როცა მიზანს საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობებით აღწევ.

⊙ მოგწონთ ეს აუზი?

— დიდებულია. არ მეგონა, ხობში ასეთი შესანიშნავი აუზი თუ დამხვდებოდა, აუზი კი არა, აუზების კომპლექსი.

⊙ კოსმოსიდან თუ შეიძლება ამ აუზის დანახვა, ან იქნებ დაინახეთ კიდეც?

— კოსმოსში ბოლოს ორი წლის წინათ ვიყავი. მახსოვს, კავკასიონის ქედს დაკვირვებით ვათვალიერებდი. ვხედავდი რიონსაც, მაგრამ ხობის ძებნით თავი არ შემიწუხებია. როგორ ვიფიქრებდი, პატარა ხობში ასეთი დიდი შეჯიბრება თუ ჩატარდებოდა და ამ ასპარეზობის მთავარი მსაჯი მე ვიქნებოდი.

⊙ რიონი ახსენეთ. გავიგე, მასპინძლებს სათევზაოდ მიუპატიჟებიხართ, გიყვართ თევზაობა?

— თევზაობა აქტიური დასვენების შესანიშნავი საშუალებაა. თითქოს ბუნებას ერწყმი. მდინარის პირას ყოფნა საოცრად გამშვიდებს, ეს პატარა საქმე არ არის...

⊙ ხუთჭიდი, ცურვა, თევზაობა. კოსმონავტებს ალბათ სპორტის რომელიმე სახეობა გაქვთ გამორჩეული.

— ჩვენ სპორტის რამდენიმე სახეობაში ვვარჯიშობთ. მე პირადად, ცურვის გარდა, დიდ სიამოვნებას მანიჭებს ფეხბურთი და ჩოგბურთი. ამ სახეობებში ვარჯიში კოსმონავტს კოორდინაციის გამომუშავებაში უწყობს ხელს. სიამოვნებით ვვარჯიშობ სათხილამურო ტრასაზე და სარბენ ბილიკებზეც. რბენაში ჩემი მეუღლე, ლილია ალექსეევნა ძავარჯიშებს. იგი რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი იყო 400 მეტრზე რბენაში, პერმის ოლქის რეკორდსმენიც გახდა. ახლა ინსტიტუტში მუშაობს. ჩემი ცოლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე ის არის, რომ მე მავარჯიშებს და დედაა.

⊙ კოსმოსში, ალბათ, ყველაზე მეტად ცურვა გამოგადგათ, რადგან ადამიანი მხოლოდ იქ და წყალში იმყოფება უწონადო მდგომარეობაში. ასე რომ, თქვენ ერთგვარ აკლიმატიზაციას აუზში გაივლიდით.

— არა, ის უწონადობა სულ სხვაა. კოსმოსში ჰაერს ხელს ვერ ჩასჭიდებ და ვერ „გადაადგილდები", აუზში კი წყალს შეიგრძნობ და „ეჭიდები". თუმცა, ცურვის ცოდნა, უფრო სწორად, სრიალი, კოსმოსში გამომადგა. ისე დავსრიალებდი, როგორც აუზში მის ბორტზე ფეხების ბიძგის შედეგად.

⊙ ახლა კოსმოსიდან კვლავ დედამიწაზე დავეშვათ. თქვენ, როგორც ამ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ასპარეზობის შესახებ ანგარიში უნდა წარადგინოთ. რას დაწერთ მოსწავლე მოცურავეთა ამ ფორუმის ორგანიზაციის შესახებ?

— დავწერ, რომ შეჯიბრება ჩინებულად იყო ორგანიზებული. წლეულს ხობის რაიონს სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. ხობელებს თავიანთი გაჭირვებაც ეყოფოდათ, შეეძლოთ ასპარეზობის მასპინძლობაზე უარი ეთქვათ, მაგრამ მათ ყველა სიძნელე დაძლიეს და შეჯიბრებას სანაქებოდ უმასპინძლეს. არც იუმორის გრძნობა დაუკარგავთ. თვალი მოვკარი ასეთ წარწერას: ცურვა ხობელების ჰობიაო, და ეს დაამტკიცეს კიდეც. ყველა გუნდი კარგად დააბინავეს და შეფებიც გამოუყვეს. ბავშვები კარგად იკვებებოდნენ, აუზიც სრულ მზადყოფნაში დაგვხვდა. სამსაჯოდ ჩამოვიდა ბევრი ისეთი არბიტრი, ვისაც ოლიმპიურ თამაშებზე უმსაჯია. ერთი სიტყვით, მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ ბავშვებს თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმუმი ეჩვენებინათ.

⊙ სპორტსმენებმა როგორ უპასუხეს ასეთ ზრუნვას?

— მათგან ბევრს არ მოვითხოვდით. სისწრაფეს არა უშავს, ოსტატობაში კი შესამჩნევად მოიკოჭლებენ. უმრავლესობას არ უვარგა ცურვის, სტარტისა და მობრუნების ტექნიკა. ასე რომ, მწვრთნელების მიმართ დიდი პრეტენზიები გვაქვს.

⊙ თქვენ ცურვის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბრძანდებით. თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ სპორტის ამ სახეობაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეებს არ ჩამოვრჩეთ?

— უწინარეს ყოვლისა, მწვრთნელთა პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ამაღლდეს. წეღან პრეტენზიები რომ გამოვთქვი, ის ჩვენი ქვეყნის მოცურავეთა ნაკრების წევრებსაც ეხება. მწვრთნელებმა ერთი კარგი მონაცემების მქონე ბავშვი თუ აღმოაჩინეს, იმას გადაყვებიან და სხვას აღარ ეძებენ. ტალანტების ძებნაა საჭირო. ისინი ცოტანი არიან, მაგრამ, თუ მოვინდომებთ, ვიპოვნით კიდეც. აქ, სადაც ჩვენი სპორტის რეზერვი ასპარეზობდა, მწვრთნელები ტალანტების აღმოსაჩენად არ ჩამოსულან. აი, რა არის სამწუხარო.

⊙ გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის. იმედი მაქვს, როცა კოსმოსში კიდევ ერთხელ გაფრინდებით, პირველ ინტერვიუს მე მომცემთ.

— პირობას გაძლევთ, მითხრა სავინიხმა და ცურვა გააგრძელა.

**ავთანდილ გურასაშვილი.**
ავტორის ფოტო.

# საქართველოს სპორტსახკომში

გრძელდება სახელმწიფო მიღება სპორტულ კოლექტივებში. ამჯერად კოლეგიამ განიხილა ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკურ სპორტულ სკოლებში გაწეული მუშაობის შეფასების შედეგები. კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა გამოვლენილი ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებზე და დასახა ამ სკოლების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სრული უკუგების უზრუნველყოფის გზები. დადგენილების შინაარსი ვრცლად ცალკე გამოქვეყნდება.

პიონერული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების საქმიანობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე, ყველგან არაა სასწავლო-აღმზრდელობითი და სპორტული მუშაობის პირობები. ძნელია გამოინახოს ისეთი ბანაკი, რომელიც სანიმუშოდ და სამაგალითოდ გამოდგება. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამთავითვე ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა მომავალ წელს რეზერვების სრული ამოქმედებით მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალოს.

როგორც ცნობილია, წელს თებერვალში მუშაობას შეუდგა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტული სკოლა. როგორია ამ სკოლის მიერ გაწეული ექვსი თვის მუშაობის შედეგები? აღინიშნა, რომ სკოლა ამართლებს დანიშნულებას, ვლინდებიან პერსპექტიული მოზარდები, რომლებსაც უკვე თვალი დაადგეს სპორტის სხვადასხვა სახეობების სპეციალისტებმა. კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სკოლის მუშაობაში უფრო აქტიურად ჩაებან მეცნიერები, კათედრები, ცალკეული სპორტული ორგანიზაციები. შემუშავდება რეკომენდაციები და ტესტები, რომელიც დაიგზავნება რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში, რაც სპეციალისტებს დაეხმარება ადგილებზეც გამოავლინონ ნიჭიერი ბავშვები.

იმსჯელეს ოლიმპიური თამაშების საქართველოს სპორტსმენთა მზადების გეგმის შესრულების საკითხზე. კოლეგიამ მკაცრად მოჰკითხა სპორტსახკომის პასუხისმგებელ მუშაკებს და მწვრთნელებს იმ ხარვეზების შესახებ, რამაც თავი იჩინა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სპორტსმენთა მომზადებაში. ითქვა, რომ გეგმების შეუსრულებლობის შემთხვევაში წლის შედეგების მიხედვით კოლეგია პერსონალურად განიხილავს თითოეული სპეციალისტისა და სპორტსახკომის შესაბამისი მუშაკების პასუხისმგებლობის საკითხს.

მიღებულია საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სპორტსახკომისა და რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის ერთობლივი დადგენილება წვევამდელი ახალგაზრდების ფიზიკური მომზადების გაუმჯობესების შესახებ.

• • •

კოლეგიის ამ სხდომაზე დღის წესრიგში იყო აგრეთვე სპორტული სკოლების მუშაობისა და რესპუბლიკაში სპორტის გეგმიური განვითარების მოწესრიგების, რესპუბლიკის ცალკეული რეგიონებისადმი ცენტრიდან პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის სოციალისტური შეჯიბრების, გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობის, რესპუბლიკაში „ფეხბურთის დღის" ჩატარების საკითხები და მიღებულია შესაბამისი დადგენილებები.

კოლეგიამ განიხილა აგრეთვე მთელი რიგი ორგანიზაციული და სხვა საკითხები.

## სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

### ბადმინტონი

ბიჭები. ერთეულთა თანრიგი. ი. სიდოროვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო), ს. დუნაევი (პროფკავშირები-I), ა. პოპოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო); წყვილთა თანრიგი. მ. საფონოვი — სიდოროვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო), დუნაევი — ვ. დრუშჩენკო, მ. მიზინი — ვ. მაკაროვი (ორივე — პროფკავშირები-I).

შერეული წყვილები. მიზინი — ლაზარევა (პროფკავშირები-I), საფონოვი — ო. ასტრახანცევა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო), დუნაევი — ო. სკოროხოდოვა (პროფკავშირები-I).

გოგონები. ერთეულთა თანრიგი. ო. ლაზარევა (პროფკავშირები-I), ე. მარგველაშვილი (საქართველო), ი. ბირიუკოვა (პროფკავშირები-I); წყვილთა თანრიგი. ბირიუკოვა — მ. იაკუშევა (პროფკავშირები-I), ო. კრასილნიკოვა — ნ. ევდოკიმოვა (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო), მარგველაშვილი — ნ. ხალილაშვილი (საქართველო).

## ფიზკულტურელის დღეს მიეძღვნა

რედაქციაში კვლავ მოდის დეპეშები ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შესახებ

### სოხუმის რაიონი

ოთხასამდე კაცი შეეჯიბრა ერთმანეთს სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში.

### გულრიფში

ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილ ზეიმში რაიონის 1900-მდე მცხოვრები მონაწილეობდა.

### თელავი

აქ გაიმართა ქართული ჭიდაობა, შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, მოეწყო ტურისტული ლაშქრობა. ზეიმის მონაწილეთა რიცხვი ათას კაცს აჭარბებდა.

### სიღნაღი

ფიზკულტურულ-სპორტულმა ღონისძიებებმა რაიონის ასობით მკვიდრი მიიზიდა. თითქმის ყველგან გაიმართა ფიზკულტურული დღესასწაული.

### წითელი წყარო

შეჯიბრებები გაიმართა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის. ქალაქის ცენტრში ჩატარდა მატჩები კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, მოეწყო შეჯიბრებები გირების აწევაში, ჭადრაკში, ქართულ ჭიდაობაში. სპორტულ მოედნებზე სულ 1250 კაცი გამოვიდა.

# პიონერულ ბანაკებში

## ნათელი და ჩრდილი

**არდადეგების** პერიოდში, ზაფხულის ცხელ დღეებში, ბავშვებს პიონერთა ბანაკში დასვენებას არაფერი ურჩევნიათ. ისინი კარგად უთავსებენ ერთმანეთს სწავლას, გართობას, შრომას, სპორტს და დამოუკიდებელ ცხოვრებასაც ეჩვევიან. ამიტომ არის საბანაკო ცხოვრება საინტერესო და დასამახსოვრებელი.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშში, პიონერთა ბანაკ-პროფილაქტორიუმის მშენებლებს (დირექტორი ხუტა ბალათურია) ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ დამსვენებლებს გართობა-დასვენებისთვის ნორმალური პირობები ჰქონოდათ. დადიანების ცნობილ აგარაკზე დღეს პატარა ქალაქია გაშენებული, ოთხ საცხოვრებელ კორპუსში 320 ბავშვია დაბინავებული, აქვეა სასადილო, კლუბი, ადმინისტრაციული სახლი, პოლიკლინიკა. თვალსახარებს მწვანე გაზონები, მოკირწყლული ბილიკები, მიწის წიაღიდან გადმოსჩქეფს ცივი, ანკარა წყარო. ეზოს ერთი მონაკვეთი სპორტული ბაზებისთვის დაუთმიათ: ერთმანეთს მისჯრიან ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ბადმინტონის, მინიკალათბურთის მოედნები, მალე საჭყუმპალაოც მზად იქნება, ბავშვები ხშირად იკრიბებიან საჭადრაკო ოთახში, შეჯიბრებისთვის მზადაა სარბენი ბილიკი. ბანაკს იმ დროს ვეწვიეთ, როცა ფიზკულტურის მასწავლებელი გიგლა წყაროზია და უფროსი პიონერხელმძღვანელი ლიანა ჭურღულია ბავშვებს სპარტაკიადაზე გამოსასვლელად ამზადებდნენ.

სულ სხვა ვითარება დაგვიხვდა საბავშვო სახლების აღსაზრდელთა რესპუბლიკურ პიონერთა ბანაკში, რომელსაც ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატი აქვს დათმობილი. სპორტული ბაზები აქაც კარგია, მაგრამ მათ სათანადოდ ვერ იყენებენ. ფეხბურთის მოედანზე ბალახი მოსათიბია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ დიდი ხანია ბურთი არ გაგორებულა. ფრენბურთის მოედანზეც ბალახს დაუფარავს გვერდითი ხაზები, ჩოგბურთის მაგიდები კი ბადის გარეშე დაუდგამთ ღია ცის ქვეშ. ფიზკულტურის მასწავლებელი ბანაკში არ დაგვიხვდა. დირექტორმა ელენე შელიამ თავი იმართლა, ძნელად აღსაზრდელი ბავშვები არიან, სპორტულ ინვენტარს ამტვრევენ, უფრო მხიარული სტარტები, ტურისტული ლაშქრობები მოსწონთ და ამიტომ ჩვენც ხშირად ასეთ ღონისძიებებს ვატარებთო. ალბათ მკითხველისთვისაც გაუგებარია აღმზრდელის ასეთი განმარტება.

ისიც ვიკითხოთ, ნუთუ 250 ბავშვიდან არავის უყვარს ფეხბურთი, ფრენბურთი, სირბილი, ხტომა, ჩოგბურთი? თუ ბანაკში მართლა არიან ძნელად აღსაზრდელები, მათთვის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობით დაინტერესება განა „უებარი წამალი" არ იქნება?

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის პიონერთა ბანაკს (დირექტორი ბორის ჩიქოვანი) მშენებლებმა ეს-ესაა ჩამოხსნეს ხარაჩოები. პირველი ნაკადი ბანაკს ჯერ არ მიუღია. შესანიშნავი ნაგებობა მდინარე ხობისწყლის ნაპირზეა გაშენებული, მაგრამ ჯერჯერობით აქ არც ერთი სპორტული მოედანი არ არის. მართალია, ეზო ძალიან პატარაა, მაგრამ ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის კომბინირებული მოედნის, სარბენი ბილიკის, სახტომი ორმოს მოწყობა შეიძლება.

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს" ზონალური კორ.



# „ტყავის ბურთი“ — ჩვენი სტუმარი

ბოლო წლებში ძალზე პოპულარული გახდა „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზის გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის, რომელსაც საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ატარებს. სულ ცოტა ხნის წინ დამთავრდა მოკავშირე რესპუბლიკათა ტურნირები, სადაც დაძაბულ ბრძოლაში გაირკვა ფინალისტების ვინაობა სამ ასაკობრივ ჯგუფში, ფერგანასა და ჩიმკენტში უკვე დაიწყო ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობები, ხვალ დაიწყება შეჯიბრება უფროსი ასაკის გუნდებს შორის.

ფერგანაში, სადაც საშუალო ასაკობრივი ჯგუფის (1974-1975 წლებში დაბადებულნი) სპორტსმენები ასპარეზობენ, გაემგზავრა ლანჩხუთის საშუალო სკოლის გუნდი, ხოლო ჩიმკენტში თავიანთ თანატოლებს (მოზარდთა ასაკი, 1972-1973 წლებში დაბადებულნი) შეეჯიბრებიან მახარაძის რაიონის სოფელ ლაითურის საშუალო სკოლის წარმომადგენლები.

„ტყავის ბურთის“ კლუბის ყველაზე საინტერესო ფინალური ტურნირი კი კვირას, 16 აგვისტოს აიღებს სტარტს თბილისში. აქ ერთმანეთს შეხვდებიან უფროსი ასაკის ფეხბურთელები (1970-1971 წლებში დაბადებულნი), იმ 24 გუნდის წარმომადგენლები, რომლებმაც ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. „ლელოს“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ სხვებთან ერთად ამ ასპარეზობაში მონაწილეობის საგზური მიიღეს თბილისის 150-ე საშუალო სკოლისა და გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის საშუალო სკოლის გუნდებმა.

ტურნირს უმასპინძლებენ თბილისის „ლოკომოტივის“, გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, მაუდ-კამვოლის კომბინატისა და რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონები.

გთავაზობთ ტურნირის პირველი ორი დღის კალენდარს:

**16 აგვისტო. კვირა.**

**გ. დიმიტროვის სახ. სტადიონი**

10.00 უკრაინა-2 — მოსკოვი
12.00 რსფსრ-2 — თურქმენეთი
18.00 ტურნირის საზეიმო გახსნა
**18.30 თბილისი — მოლდავეთი**

**„ლოკომოტივის“ სტადიონი**

**10.00 საქართველო — რსფსრ-5.**
11.45 რსფსრ-3 — ყირგიზეთი
13.30 სომხეთი — ესტონეთი

**მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი**

10.00 უზბეკეთი — ლენინგრადი
11.45 ლიტვა — რსფსრ-4
13.30 უკრაინა-1 — სოფლის გუნდი (მოსკოვის ოლქი)

**„მეტალურგის“ სტადიონი**

10.00 ყაზახეთი — ტაჯიკეთი
11.45 ლატვია — ბელორუსია
13.30 რსფსრ-1 — აზერბაიჯანი

**17 აგვისტო. ორშაბათი**

**გ. დიმიტროვის სახ. სტადიონი**

10.00 რსფსრ-5 — თურქმენეთი
12.00 მოსკოვი — რსფსრ-2
**18.00 უკრაინა-2 — საქართველო**

**„ლოკომოტივის“ სტადიონი**

10.00 რსფსრ-3 — მოლდავეთი
12.00 ყირგიზეთი — სომხეთი
**18.00 თბილისი — ესტონეთი.**

**მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი**

10.00 უზბეკეთი — ლიტვა
12.00 ლენინგრადი — უკრაინა
18.00 რსფსრ-4 სოფლის გუნდი (მოსკოვის ოლქი)



**„მეტალურგის“ სტადიონი**

10.00 ყაზახეთი — ლატვია
12.00 ტაჯიკეთი — რსფსრ-1
18.00 ბელორუსია — აზერბაიჯანი

სამშაბათს, 18 აგვისტოს ტურნირის მონაწილეები ისვენებენ. ამ დღეს ისინი ჩააბარებენ ნორმატივებს საერთო ფიზიკურ მომზადებასა და ფეხბურთის ტექნიკური ელემენტების ცოდნაში. ეს ასპარეზობა გ. დიმიტროვის სახელობის სტადიონზე გაიმართება 10 საათიდან.

ფეხბურთის მოყვარულებს აქვე ვაცნობებთ, რომ ტურნირში მონაწილე 24 გუნდი დაყოფილია 4 ქვეჯგუფად.

**I ქვეჯგუფი:** უკრაინა-2. მოსკოვი, საქართველო, რსფსრ-5, რსფსრ-2, თურქმენეთი.

**II ქვეჯგუფი:** რსფსრ-3, ყირგიზეთი, მოლდავეთი, თბილისი, სომხეთი, ესტონეთი.

**III ქვეჯგუფი:** უზბეკეთი, ლენინგრადი, ლიტვა, რსფსრ-4, უკრაინა, სოფლის გუნდი (მოსკოვის ოლქი).

**IV ქვეჯგუფი:** ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ლატვია, ბელორუსია, რსფსრ-1, აზერბაიჯანი.

19 აგვისტოს, ოთხშაბათს ტურნირი განახლდება.

ფეხბურთი

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

**13 აგვისტოს** სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი მატჩი გაიმართა.

მეტად დაძაბულ ბრძოლაში ვილნიუსის „ჟალგირისმა“ სძლია კიევის „დინამოს“ — 1:0.

მოსკოვის „სპარტაკმა“ შინ ანგარიშით 2:1 დაამარცხა მინსკის „დინამო“.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ⊙ მდგომარეობა 15 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 20 | 10 | 8 | 2 | 33-19 | 28 | (—12) |
| 2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 20 | 10 | 5 | 5 | 25-13 | 25 | (—15) |
| 3. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 20 | 10 | 5 | 5 | 28-19 | 25 | (—15) |
| 4. „ტორპედო“ (მოსკოვი) | 20 | 7 | 9 | 4 | 19-13 | 23 | (—17) |
| 5. „არარატი“ (ერევანი) | 20 | 10 | 1 | 9 | 23-29 | 21 | (—19) |
| 6. „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 20 | 8 | 5 | 7 | 17-19 | 21 | (—19) |
| 7. „შახტიორი“ (დონეცკი) | 20 | 7 | 7 | 6 | 19-18 | 21 | (—19) |
| 8. „დინამო“ (კიევი) | 18 | 7 | 6 | 5 | 23-12 | 20 | (—16) |
| 9. „ნეფთჩი“ (ბაქო) | 21 | 7 | 6 | 8 | 25-21 | 20 | (—22) |
| 10. „დინამო“ (მინსკი) | 20 | 7 | 5 | 8 | 21-20 | 19 | (—21) |
| 11. „დინამო“ (მოსკოვი) | 20 | 5 | 9 | 6 | 14-17 | 19 | (—21) |
| 12. „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 20 | 7 | 3 | 10 | 16-25 | 17 | (—23) |
| 13. ცსკა | 19 | 5 | 5 | 9 | 17-24 | 15 | (—23) |
| 14. „დინამო“ (თბილისი) | 19 | 5 | 5 | 9 | 17-25 | 15 | (—23) |
| 15. „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 20 | 4 | 7 | 9 | 15-27 | 15 | (—25) |
| 16. „გურია“ (ლანჩხუთი) | 19 | 3 | 6 | 10 | 9-20 | 12 | (—26) |

## II ლიგა

**გასულ** ოთხშაბათს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-17 ტურის მატჩები: „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 4:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 2:1, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „დილა“ (გორი) 2:1, „ვოსხოდი“ (სუმგაითი) — „შევარდენი“-სპი (თბილისი) 3:2, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:1, „გოიაზანი“ (ყარაბახი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:0, „სპარტაკი“ (ოქტომბერიანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:0.

იმასთან დაკავშირებით, რომ სოხუმის „დინამო“ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობს, გადადებულია მისი 12 და 15 აგვისტოს მატჩები ლენინაკანის „ოლიმპიასთან“ და ოქტემბერიანის „სპარტაკთან“.

**II ლიგა, IX ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 15 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტ.“ | 17 | 12 | 4 | 1 | 27-6 | 28 |
| „დინამო“ | 16 | 8 | 5 | 3 | 28-15 | 21 |
| „ქიაფაზი“ | 17 | 8 | 3 | 6 | 31-22 | 19 |
| „კოლხეთი“ | 17 | 7 | 4 | 6 | 23-22 | 18 |
| „შევარ.“-სპი | 17 | 7 | 3 | 7 | 32-23 | 17 |
| „სპარტაკი“ | 17 | 7 | 3 | 7 | 24-25 | 17 |
| „ვოსხოდი“ | 17 | 7 | 3 | 7 | 21-24 | 17 |
| „ყარაბახი“ | 17 | 7 | 2 | 8 | 19-25 | 16 |
| „ოლიმპია“ | 16 | 7 | 2 | 7 | 17-24 | 16 |
| „მეტალურ.“ | 17 | 7 | 1 | 9 | 18-21 | 15 |
| „ავტომობ.“ | 17 | 6 | 3 | 8 | 18-19 | 15 |
| „მეშახტე“ | 17 | 6 | 3 | 8 | 15-21 | 15 |
| „გოიაზანი“ | 17 | 6 | 3 | 8 | 15-24 | 15 |
| „კოლხოზჩი“ | 17 | 5 | 4 | 8 | 19-25 | 14 |
| „დილა“ | 17 | 5 | 4 | 8 | 17-24 | 14 |
| „ლორი“ | 17 | 6 | 1 | 10 | 13-17 | 13 |

## „სიჭაბუკის თასზე“

**ნოვოჩერკასკში** დაიწყო ნორჩ ფეხბურთელთა (1972-1973 წლებში დაბადებულნი) საკავშირო ფინალური გათამაშება „სიჭაბუკის“ თასზე. პრიზის მოსაპოვებლად იბრძვიან მოსკოვის, რსფსრ-ის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და ლიტვის გუნდები.

პირველ ტურში საქართველოს ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1 სძლიეს ლიტვის ნაკრებს. ფრედ დამთავრდა რსფსრ-ისა და უკრაინის გუნდების შეხვედრა — 0:0, მოსკოველებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს აზერბაიჯანის ნაკრები.

საქართველოს გუნდი მეორე ტურში შეხვდა აზერბაიჯანელ ფეხბურთელებს.

ფეხბურთი

# სიმართლე უნდა აღსდგეს

### ისევ ცხინვალის სტადიონზე მომხდარი სკანდალის შესახებ

**ჩვენი** გაზეთის 13 აგვისტოს ნომერში რუბრიკით „SOS“ დაიბეჭდა მამხილებელი წერილი, რომელშიც აღწერილი იყო რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში მომხდარი აღმაშფოთებელი ამბავი.

მოკლედ შეგახსენებთ ამ უმსგავსო ინციდენტის ისტორიას, რომელიც მატჩის ოფიციალურმა ინსპექტორმა, საკავშირო კატეგორიის სპორტის მსაჯმა ო. ჟორდანიამ შეგვატყობინა:

ცხინვალის „სპარტაკისა“ და გორის „დინამოს“ მატჩს სჯიდა ბრიგადა ვ. ხეჩოიანის, ო. გუნთაძისა და ნ. კილაძის შემადგენლობით. სპარტაკელთა ერთ-ერთი შეტევის დროს არბიტრმა ვ. ხეჩოიანმა აღნიშნა, რომ ბურთმა გადაკვეთა სტუმართა კარის ხაზი და გოლი ჩათვალა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა ნ. კილაძემ არბიტრი დაარწმუნა, რომ ბურთს არ გადაუკვეთია კარის ხაზი, ამიტომაც ვ. ხეჩოიანმა შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება და თამაში ხადავო ბურთით გააგრძელა.

ამ ამბავმა ტრიბუნებზე მყოფ ცხინვალელ გულშემატკივართა ერთი ჯგუფის გულისწყრომა გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ მსაჯთა ბრიგადას მილიციის თანამშრომლები აცილებდნენ მინდვრიდან, რამდენიმე ხულიგანი მაყურებელი მიეჭრა გვერდით მსაჯს ნ. კილაძეს და, როგორც ირკვევა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას. ეს იყო არა მცდელობა, არამედ ფიზიკური ზემოქმედების ხულიგნური აქტი...

ამ აღმაშფოთებელ ფაქტს ოპერატიულად გამოეხმაურნენ სამხრეთ ოსეთის ოსური, რუსული და ქართული გაზეთები, ამის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ცხინვალის რადიომაც.

აი, რას წერს „სამხრეთ ოსეთის“ 11 აგვისტოს ნომერში კორესპონდენტი ც. მელქოევი:

„ამ მატჩში ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა: 85-ე წუთზე გ. ზუბეჯიშვილმა თავით დაარტყა, ბურთი მოხვდა ზედა ძელს, მინდორზე დაეშვა და მინდორს დაუბრუნდა, არბიტრმა ვ. ხეჩოიანმა (თბილისი) კარი აღებულად ჩათვალა, მაგრამ გვერდითი მსაჯის ნ. კილაძის (თბილისი) დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადათქვა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება.

ამ ამბავმა გაანაწყენა სპარტაკელთა ვაიგულშემატკივრები, ისინი შემოეხვივნენ გვერდით მსაჯს და ჩხუბი დაუწყეს. მილიციის მუშაკებმა წესრიგი დაამყარეს, მაგრამ თამაშის დამთავრების შემდეგ ხულიგნები შეიჭრნენ მინდორზე და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ნ. კილაძეს. აი, ასე „გაუმასპინძლდნენ“ სტუმარს, რაც სამარცხვინო ფაქტია და, ვიმედოვნებთ, მკაცრი მსჯელობის საგანი გახდება“.

გაზეთ „სოვეტსკაია ოსეტიაში“ დაიბეჭდა ინფორმაცია „გულშემატკივარი და წესრიგი“, რომელშიც ვკითხულობთ:

„...მატჩის ნორმალური მსვლელობა დაარღვია არბიტრმა, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ვ. ხეჩოიანმა, რომელსაც მხედველობიდან გამორჩა მასპინძელთა შეტევის ერთ-ერთი მომენტი და აბსოლუტურად არასწორად მიუთითა ცენტრზე, შემდეგ კი მოეთათბირა გვერდით მსაჯს ნ. კილაძეს და გადათქვა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება. ამან წააქეზა უდისციპლინო მაყურებლები, რომლებიც წამოიჭრნენ ტრიბუნებიდან და შეტევა მიიტანეს თბილისელ მსაჯთა ბრიგადაზე. ყველაფერი ეს მოხდა მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, რის ვაივაგლახით შესაძლებელი გახდა მატჩის დამთავრება — მისი შედეგია 0:0, მაგრამ იგი იმდენად ჩვენს ფეხბურთელებს არ აკმაყოფილებდა, რამდენადაც გულშემატკივართა ჯგუფს, რომელმაც გაარღვია მინდორი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთ მსაჯს.

ეს ინციდენტი უკანასკნელ გაფრთხილებად უნდა იქცეს სტადიონის დირექციისათვის, რომელმაც ვერ შესძლო წესრიგის დამყარება“.

მაშ ასე: ჩვენს საფეხბურთო სტადიონებზე ჯერ კიდევ ვერ დავამყარეთ საჭირო წესრიგი, შეცდომებს უშვებენ მსაჯები, უდისციპლინოდ იქცევიან ფეხბურთელები, ახლა ხულიგნობა ჩაიდინეს მაყურებლებმაც. ცხადია, ყველაფერი ეს იმ ერთი ჯაჭვის ცალკეული რგოლებია, რამაც ქართული ფეხბურთის წლევანდელი აშკარა ჩავარდნაზეც იმოქმედა საკავშირო სარბიელზე.

ცხინვალში მომხდარ სამარცხვინო ინციდენტზე უნდა იმსჯელონ შესაბამისმა ორგანოებმა, დამნაშავენი უნდა დაისაჯონ, თუ ჩვენი სტადიონების დირექციებს, ადგილობრივ სპორტულ გამგებლებს არ შეუძლიათ წესრიგის დამყარება თავიანთ ბაზებზე იმ დროს, როცა იქ მეტად მნიშვნელოვანი რესპუბლიკური ღონისძიებები ტარდება, როცა ტრიბუნებზე მსხდომნი აქტიურად, ქმედითად არ იბრძვიან წესრიგის დასამყარებლად, არ აღკვეთენ ყოვლად დაუშვებელი ხულიგნობის ფაქტებს, აქ საჭიროა მკაცრი სანქციების მიღება, ხულიგნებს და წესრიგის დამრღვევთ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ არც ფეხბურთელებს, არც მსაჯებსა და არც მაყურებლებს შორის. სპორტულ შეჯიბრებებზე წესრიგის დაცვა საყოველთაო საქმეა და საამისოდ ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს არც ერთმა ჩვენგანმა.

• • •

სანამ ცხინვალში მომხდარი ამ სავალალო ინციდენტის შესახებ იმსჯელებენ საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია და სხვა ორგანოები, ცხინვალის „სპარტაკი“ რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩებს თავის მინდორზე ვერ ჩაატარებს. კერძოდ, 23 აგვისტოს დანიშნული მატჩი ცხინვალის „სპარტაკსა“ და ოჩამჩირის „ამირანს“ შორის გაიმართება გორის რაიონის „ქართლის“ სტადიონზე.

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### „ისევ ხულიგნობა?“

**მიმდინარე** წლის 21 ივლისს „ლელოში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში მოყვანილი ფაქტი „ისევ ხულიგნობა?“ ეხებოდა 18 ივლისს გორის რაიონის „ქართლისა“ და ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელთა მატჩზე მომხდარ ინციდენტს, სადაც ზუგდიდელმა ფეხბურთელმა ვ. ჭედიამ ჩაიდინა ფეხბურთელისთვის შეუფერებელი საქციელი. ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

აღმასკომის სხდომაზე აღინიშნა, რომ ზუგდიდის სპორტის მესვეურები და, კერძოდ, გუნდის ხელმძღვანელობა შემრიგებლურ დამოკიდებულებას იჩენენ ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი, რისთვისაც ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. გარდავას გამოეცხადა სასტიკი საყვედური, სასტიკი საყვედური გამოეცხადათ აგრეთვე „დინამოს“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვ. შეროზიასა და გუნდის მწვრთნელს ჯ. გაგუას. ისინი პირობით იქნენ დატოვებული სამუშაოზე, მათვე დაევალათ გადამჭრელ ღონისძიებათა გატარება ფეხბურთელთა გუნდში.

ცნობად იქნა მიღებული, რომ ე. ჭედიას პერსონალური საკითხი განხილულია საქართველოს ალკკ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ასევე ცნობად იქნა მიღებული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება ფეხბურთელ ე. ჭედიასთვის სამუდამო დისკვალიფიკაციის მიცემის შესახებ.

**ო. ჟითანავა,**
ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

# „დინამო" „დინამოს" წინააღმდეგ

დასასრული

პირველი ორი კალენდარული დღის შემდეგ ფავორიტებმა ადვილად მოაგვარეს თავიანთი საქმეები. თბილისელებმა ჯერ ჩელიაბინსკის კოლექტივი დაამარცხეს, მერე კი ფრუნზეს თანაკლუბელებს აჯობეს — 103:81 (52:42).

ტურნირის მასპინძელმა ამ შეხვედრებში ფაქტიურად ყველა კალათბურთელი გამოსცადა (დარსაძე, კაპუსტინი, ტიუბინი, ბოროდაჩოვი, სანაძე, ოპოშნიანი, ფერიაშვილი, ტალაბაძე, გიორგობიანი).

დიდი ხნის შესვენების შემდეგ მაყურებელმა სარბიელზე იხილა დერიუგინიც. კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს ახალგაზრდებმა კახაბერ შენგელიამ და დათო უსტიაშვილმა.

ერთი სიტყვით, „დინამო" ინტენსიურად ემზადება მორიგი საკავშირო ჩემპიონატისათვის, რომელიც სექტემბრის მიწურულს დაიწყება და ეს შეჯიბრებაც ამ სამზადისის ერთ საკონტროლო ეტაპს წარმოადგენს.

ჯერჯერობით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს თბილისელთა მთავარი მეტოქე — მოსკოვის გუნდიც, რომელმაც მეორე ტურში სარეკორდო ანგარიშით — 133:67 (66:34) — დაამარცხა ჩელიაბინსკის კოლექტივი: ტურნირი ორ წრედ ტარდება, ასე რომ გადამწყვეტი შეხვედრა თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შორის 17 აგვისტოს გაიმართება. მანამდე კი ფავორიტებს ერთი მატჩი ერთმანეთში უკვე ჩატარებული ექნებათ.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ტურნირის მესამე დღის შეხვედრები.



როდის ითამაშა ბოლოს ნიკოლოზ დერიუგინმა თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში კარგად აღარც გვახსოვს. ყოველ შემთხვევაში თბილისელებს აშკარად აკლდათ ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც სერიოზული ტრავმის შემდეგ დიდხანს მკურნალობდა. ახლა იგი მწყობრშია (ფოტოზე — მარჯვნივ) და დარწმუნებული ვართ თავის კოლექტივს კარგ სამსახურსაც გაუწევს.

დაშავებული იყო გია სანაძეც. ყოველ შემთხვევაში საკავშირო ჩემპიონატის ზოგიერთი კალენდარული შეხვედრა მანაც გამოტოვა. დღეს სანაძე (ფოტოზე—მარცხნივ) თამაშობს, ისევ თავის სტიქიაშია, რაც კალათბურთის გულშემატკივრებს დიდადახარებს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## კალათბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

**იმის გამო, რომ შაბათს, 15 აგვისტოს ფეხბურთელთა საკავშირო თასის კალენდარული მატჩები ტარდება, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის ამ დღის შეხვედრები თბილისის სპორტის სასახლეში ადრე დაიწყება: „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (ფრუნზე) 16 საათზე, „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (ჩელიაბინსკი) — 17 საათსა და 30 წუთზე.**

## კაკო ყალიჩავა

გარდაიცვალა ქართული სპორტის ვეტერანი, ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი ფეხბურთელი, სკპ წევრი 1946 წლიდან აკაკი ერასტის ძე ყალიჩავა.

ა. ყალიჩავა 1911 წელს დაიბადა ფოთში, აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. ფოთში იმხანად დიდად ფეხმოკიდებული იყო ფეხბურთი, ა. ყალიჩავაც ბავშვობიდან ეზიარა ამ თამაშს. ნიჭიერი ჭაბუკი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, იგი მალე მიიწვიეს ქალაქის მოზრდილთა გუნდებში, ფოთის ნაკრები ხშირად მოგზაურობდა რესპუბლიკაშიც, მის ფარგლებს გარეთაც და კარგი შედეგები ჰქონდა იმდროინდელ ძლიერ გუნდებთან შეხვედრაში.

ფოთელმა ფეხბურთელებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს საუკეთესო გუნდების შექმნაში, მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი იყო კაკო ყალიჩავაც. იგი 1932 წელს ჩაირიცხა ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, მაშინ კი ინსტიტუტს მეტად ძლიერი გუნდი ჰყავდა. ა. ყალიჩავა მუდამ გამოირჩეოდა საზრიანი, ტაქტიკურად მოფიქრებული თამაშით, მაღალი ტექნიკით, ძალზე ძლიერი დარტყმით, იგი არაერთხელ მიუწვევიათ თბილისის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ნაკრებ გუნდებში, სადაც თავს იჩენდა ენერგიული, კვალიფიციური თამაშით.

დიდი შრომითი გზა განვლო ა. ყალიჩავამ, მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, არაერთხელ იყო არჩეული რაიონული და საქალაქო საბჭოების სხვადასხვა მოწვევის დეპუტატად, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

კაკო ყალიჩავამ თავისი წვლილი შეიტანა ქართული ფეხბურთის განვითარებაში, მისი ნათელი ხსოვნა დიდ ხანს დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულში.

**საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია. ვეტერანი ფეხბურთელები.**

# ტალინის ქირვეულ კორტებზე

(დასასრული)

ფინალისტმა ვერაფერი გააწყო ახალგაზრდა მოსკოველ ჩოგბურთელთან (სხვათა შორის პარხომენკოც მოსკოველია) და შეჯიბრებას გამოეთიშა — 6:1, 3:6, 0:6.

მეორე არანაკლებმნიშვნელოვანი სენსაცია ლ. სავჩენკო — ე. ზვარუევას შეხვედრაში მოხდა. სავჩენკო ჩვენი ქალთა ჩოგბურთის ერთ-ერთი ლიდერია, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში 26-ე ადგილი უკავია. რიგელი კი საკავშირო კლასიფიკაციის თანახმად ჯერ კიდევ შარშან მხოლოდ 138-ე ადგილზე იმყოფებოდა (წლეულს მან საგრძნობლად გამოაკეთა მდგომარეობა და მე-18 ადგილზე გადაინაცვლა). ამ ერთი შეხვედრით სავსებით ნათელ სიტუაციაში რიგელმა ჩოგბურთელმა მზარდი ოსტატობა გამოავლინა და ძლიერი მეტოქე ორ პარტიაში დაამარცხა — 6:3, 7:6.

დამაჯერებლად მიიწევს წინ წლევანდელი მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი, თბილისელი ლეილა მესხი. მერვედფინალში მან ადვილად მოუგო კიეველ ე. ბრიუხოვეცს — 6:1, 6:2. სამაგიეროდ მეორე თბილისელი ჩოგბურთელი ი. მალაციძე ნ. ბიკოვასთან დამარცხების შემდეგ (1:6, 2:6), ასპარეზობას გამოეთიშა.

ამრიგად, გამოვლინდნენ ქალთა მეოთხედფინალური ტურნირის მონაწილენი: ნ. ზვერევა — ე. მანიუკოვა, ლ. მესხი — ნ. მედვედიევა, ნ. ბიკოვა — ა. ხალათიანი, ვ. მილვიდსკაია — ე. ზვარუევა.

ვაჟთა ტურნირში ამ ეტაპზე ყველაზე საინტერესო ა. ვისანდის (ტალინი) და დ. კაჭარავას (თბილისი) ორთაბრძოლა გამოდგა, ადგილობრივი მაყურებელი თავის თანამემამულეს, ცხადია, მხურვალედ გულშემატკივრობდა. შეხვედრას ესტონეთის ტელევიზიაც გადასცემდა. ყველაფერმა ამან ვისანდს გარკვეული პასუხისმგებლობა დააკისრა და მანაც არ გააწბილა გულშემატკივრები. ესტონელმა ჩოგბურთელმა ორ პარტიაში გაიმარჯვა — 6:4, 6:1.

გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრებიც. საქართველოს ჩოგბურთელებმა კიდევ ერთი დანაკლისი განიცადეს: თბილისელ ვ. გაბრიჩიძეს მოსკოველმა ა. დოლგოპოლოვმა სძლია — 6:1, 6:4. ვაჟთა დანარჩენ ორთაბრძოლებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა: ა. ვოლკოვმა (კალინინგრადი) აჯობა ა. ვისანდს (ტალინი) 4:6, 6:4, 7:5, ა. ჩესნოკოვმა (მოსკოვი) — ი. კროჩკოს (უჟგოროდი) — 6:0, 6:3, ა. ზვერევმა (მოსკოვი) — ა. ოლხოვსკის (მოსკოვი) — 6:1, 6:4.

ქალთა მეოთხედფინალში ლ. მესხმა (თბილისი) ადვილად დაამარცხა ნ. მედვედიევა (კიევი) — 6:2, 6:3, ვ. მილვიდსკაიამ (მოსკოვი) მოუგო — ე. ზვარუევას (რიგა) — 6:4, 6:4, ნ. ზვერევამ (მინსკი) — ე. მანიუკოვას (მოსკოვი) — 6:2, 6:0. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ნ. ბიკოვასა (მოსკოვი) და ა. ხალათიანის (ერევანი) ორთაბრძოლა, რომელიც თითქმის 3 საათს გრძელდებოდა. გამარჯვება ბოლოს და ბოლოს მოსკოველ ჩოგბურთელს დარჩა — 3:6, 7:5, 9:7.

# ახალი რეგლამენტით

**დიდ** ასპარეზობას, მსოფლიო პირველობა იქნება ეს თუ უნივერსიადა, წინ უსწრებს საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელიც ხვეწს და სრულყოფს შეჯიბრების რეგლამენტს, ცვლილებები შეაქვს მის პროგრამაში და ა. შ.

ამ მხრივ გამონაკლისი არ გახლავთ თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო პირველობა, რომელიც ამ დღეებში საფრანგეთის პროვინციულ ქალაქ მულენში მიმდინარეობს.

თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირის კონგრესის დასკვნით, მოზარდთა, ქალთა და ვაჟთა ერთიანმა მსოფლიო პირველობამ ხუთჭიდში არ გაამართლა. მათი ასპარეზობა ცალ-ცალკე უნდა ჩატარდეს. კავშირის ტექნიკური კომისიის წინადადებით, ხუთჭიდელთა შეჯიბრებისთვის საჭიროა ოთხი დღე პლუს ესტაფეტა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებული ორი კატეგორიის ნაცვლად გაირკვევა სამში — პირად, გუნდურ შეჯიბრებაში და ესტაფეტაში. ეს სიახლეა და აქ გამარჯვებული შემდეგნაირად გამოვლინდება: მხედრები გუნდში ზედიზედ აიღებენ სტარტს და შეეცდებიან რაც შეიძლება ცოტა საჯარიმო ქულა მიიღონ. საფარიკაო ბილიკზეც გუნდი გუნდს შეხვდება (წრიული ბრძოლების ნაცვლად); ცურვისა და რბენის დისტანციები იქნება 3X200 მ და 3X2000 მ, სროლის პროგრამა — 10 გასროლა.

ამ რეგლამენტს წელსვე, ოქტომბერში, ევროპის პირველობაზე შეამოწმებენ.

რაც შეეხება თვით მულენში გამართულ ასპარეზობას, აქ ლიდერობა ხელთ იგდეს მოსკოვის ოლქის წარმომადგენლებმა, დინამოელმა სპორტსმენმა იგორ შვარცმა, რომელმაც ცხენოსნობაში ქულათა მაქსიმუმი — 1100 მოაგროვა. შვარცის გარდა წინაღობები წმინდად გადალახეს რუმინელმა მ. გეორგემ, ფინელმა კ. კოსუნენმა და შვედმა ს. რასმუსონმა, მაგრამ მათ ამას მეტი დრო მოანდომეს.

გუნდურ პირველობაში 3.150 ქულით დაწინაურდნენ კანადელები, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე დღემდე არ გამოირჩეოდნენ. ბულგარეთის ნაკრებს 3.122 ქულა აქვს, სსრ კავშირისას — 3.108. შვარცთან ერთად საბჭოთა გუნდში არიან მისი თანაკლუბელები ანატოლი ავდეევი (ცხენოსნობაში 1070 ქულა აქვს), ალექსანდრე მაკეევი (1938).

მომდევნო სახეობაა ფარიკაობა. ასპარეზობაში 30 ქვეყნის 70 ხუთჭიდელი მონაწილეობს.

**ასპარეზობის** ლიდერმა თავი ისახელა ფარიკაობაშიც. ორთაბრძოლები ამ სახეობაში 14 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. აქ შვარცმა 1048 ქულა მოაგროვა, რაც მესამე შედეგი იყო. ახლა იგი 2.148 ქულით ლიდერობს. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან ფრანგი ჟოელ ბუზუ — 2.120 და უნგრელი ლასლო ფაბიანი — 2.108. ა. ავდეევი მეექვსე ადგილზეა — 1958.

ფარიკაობის შემდეგ შეჯიბრებაში 5.868 ქულით დაწინაურდა საბჭოთა გუნდი, მეორე ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიელები — 5682, მესამეზე — შვედები — 5662.

## მძლეოსანთა სტარტები

**ინდიანაპოლისი** (აშშ). პანამერიკულ თამაშებში ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში ჰაიკე დრექსლერის (გდრ) მსოფლიო რეკორდი — 745 სმ გაიმეორა ამერიკელმა მძლეოსანმა ჯეკი ჯოინერ-კირსმა.

**კობლენცი** (გფრ). აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ბელგიელმა ვილიამ ვან დიკმა 3000 მეტრი წინაღობებით 8.13,27 წამში გაირბინა, რაც მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგია.

## ეკრანზე და ეთერში...

**ცენტრალური ტელევიზია. 15 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.45 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩოგბურთში (გადაცემა ტალინიდან) — **19.00 (2)**; სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. მერვედფინალი: „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „არარატი" (ერევანი) — **20.00 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 15 აგვისტო.** სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. მერვედფინალები: „დინამო" (სოხუმი) — „მეტალისტი" (ხარკოვი). რეპორტაჟი სოხუმიდან — **18.00**; „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) — **20.00**.

**საქართველოს რადიო. 15 აგვისტო.** სსრ კავშირის თასი ფეხბურთში. მერვედფინალები: „დინამო" (სოხუმი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) — **19.00**; „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) — **21.00**.

## ლიდერთა შორის სიმჭიდროვეა

**ზაგრებში** (იუგოსლავია) გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა ბოლო საზონათშორისო ტურნირი. 9 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 6,5, იან ელვესტი (სსრ კავშირი) — 5,5 (1), ხულიო გრანდა (პერუ), იოჟეფ პინტერი (უნგრეთი), ეუგენიო ტორე (ფილიპინები) — 5,5-5,5, პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 5 (1). შეჯიბრების დამთავრებამდე 8 ტური დარჩა.

## მხოლოდ ნახევარი ქულით

**იუგოსლავიის** ქალაქ ტუზლაში დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირის დამატებითი, სამწრიანი მატჩი კიეველ ლიდია სემიონოვასა და პოლონელ აგნეშკა ბრუსტმანს შორის.

4 პარტიის შემდეგ დაწინაურდა პოლონელი მოჭადრაკე — 3:1. დარჩენილ 2 პარტიაში ბრუსტმანს ნახევარი ქულაც ჰყოფნის საბოლოო გამარჯვებისთვის.

## ინფორმაცია

**მალმიო.** შვეციის ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა ტურნირში 100 მეტრზე რბენა მსოფლიოს უძლიერესმა სპრინტერმა, კანადელმა ბენ ჯონსონმა მოიგო—10,05. 400 მ. თარჯრბენში პირველი მსოფლიო რეკორდსმენი ამერიკელი ედვინ მოზესი იყო — 48,36.

**ბუდაპეშტი.** 15 წლამდე ასაკის კალათბურთელ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს — გფრ-ის ნაკრები დაამარცხეს — 102:66 (54:33). ნახევარფინალში ჩვენი გუნდი იტალიის კალათბურთელებს შეხვდება. მეორე ნახევარფინალური წყვილი იუგოსლავიისა და ესპანეთის გუნდებმა შეადგინეს.

**კიევი.** სსრ კავშირის ბეისბოლისტთა ნაკრებმა პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა. იგი ნიკარაგუას გუნდს შეხვდა და დამარცხდა ანგარიშით — 0:22. ჩვენი ქვეყნის ნაკრები დაკომპლექტებული იყო მოსკოველი, კიეველი, ტაშკენტელი და თბილისელი ბეისბოლისტებით.

## „სპორტპროგნოზი"

**31-ე ტირაჟების შედეგები (1 აგვისტო)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 31-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 1 აგვისტოს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 7.053.149 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგებამ 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (54) — 3.918 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (737) — 1.134 მანეთი.

31-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 26 აგვისტოდან 26 სექტემბრამდე.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მორიგი, 32-ე ტირაჟებისა, რომლებიც 9 აგვისტოს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 654.139 ბარათი.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (50 ბარათი) მოგება 789 მანეთია, ოთხისთვის (1 963) — 29, სამისთვის (33 123) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 5 928 288 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (34 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3 888) — 148, სამისთვის (123 198) — 7.

32-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება 24 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით.

## სპორტულ გაზეთზე

[illegible]. საქართველოს ჩემპიონატი. 16 აგვისტო. „დინამოს" ბაზა დიღომში. „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი). დასაწყისი 19 საათზე.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუს სში, ხოშარაულის ქ. 29. უე 07095